

გაიხსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

5 თებერვალს კრემლში მუშაობას შეუდგა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. განიხილავენ პარტიის XXVIII ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლატფორმის პროექტს.

მოსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ **მ. ს. გორბაჩოვმა**.

დღის პირველ ნახევარში მოსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ **ა. ი. კორნიენკო** — უკრაინის კომპარტიის კიევის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი; **ვ. კ. მესიაცი** — სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ მოსკოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი; **ი. ა. კარიშვი** — უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი; **გ. ა. იაგოდინი** — სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე; **ი. პ. არხიპოვი** — საწარმოო გაერთიანება „იჟორის ქარხნის“ პარტიკომის მდივანი, ლენინგრადი; **ი. ა. პრკოფიევი** — სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი; **ტ. გ. ივანოვა** —

სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, რუსეთის სფსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე; **ნ. ნ. სოკოლოვი** — სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი; **კ. გ. ფუსენკო** — საწარმოო გაერთიანება „არტემქვანანშირის“ შახტის „კონგეგარას“ ამფთქებელი ოსტატი, დონეცის ოლქი; **ი. ი. ვაგრიხი** — სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი, ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი; **ბ. ნ. ელცინი** — სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე; **ა. ს. ძახოზი** — სკკპ ჩრდილოეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი; **გ. ი. რევენკო** — სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, უკრაინის კომპარტიის კიევის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი.

6 თებერვალს პლენუმი მუშაობას განაგრძობდა (საქელსი).

საპარტველოს სსრ უზენაესი კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

7 თებერვლი, ოთხშაბათი, 1990 წ.
№ 26 (10 195) • ფასი 3 კაპ.

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან

ახლა ველოგობენ

ველიგობენი. ახალი ზელანდიის დედაქალაქში დაიწყო ჩოგბურთელთა კიდევ ერთი ტურნირი. ლეძლა მესხმა პირველ წრეში დამარცხა ისრაელის წარმომადგენელი აივლ სეგალი — 6:0, 6:2. ბრძოლა სულ რაღაც ერთ საათში დამთავრდა.

კვირეულმა ნატალია მედვედევიამ აჯობა კანადელ მაურინ დრეისს — 6:1, 6:1. მოულოდნელი მარცხი განიცადა ახალი ზელანდიის უძლიერესმა ჩოგბურთელმა ბელინდა კორდეულმა ახალგაზრდა თანამემამულესთან ჯული რიჩარდსონთან — 0:6, 6:2, 3:6.

ახალი ზელანდიის ჩემპიონატში გამარჯვების შემდეგ ლეილა მესხი საერთაშორისო რეიტინგში მე-20 ადგილზეა.



ნულისკან,

ოსილაგურაბზე!

— **წალასათხილამურო** სპორტის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით — ჩატარდეს ფოთში 1991 წლის ევროპის ჩემპიონატი — ხელს შეუწყობს ქართული სპორტის საერთაშორისო ავტორიტეტის ამაღლებას, რესპუბლიკის მისწრაფებას დამოუკიდებელი გუნდით წარსდგეს ოლიმპიურ თამაშებზე, — გვთხრა საუბარში წალასათხილამურო სპორტის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარემ, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წევრმა, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატმა შალვა პაპიძემ. — ამ პრესტიჟული ასპარეზობის გამართვა, რომელშიც, ვარაუდით, მონაწილეობას მიიღებენ 30 ქვეყნის წარმომადგენლები, საშუალებას იძლევა ჩვენი რესპუბლიკის ფედერაცია პირდაპირ და უშუალოდ გაწევრიანდეს წალასათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციაში, ეს იქნება სერიოზული არგუმენტი რესპუბლიკის სწრაფვისა იცხოვროს დამოუკიდებელი ოლიმპიური ცხოვრებით, გადაიდგას კიდევ ერთი ნაბიჯი საქართველოს რეალური, სრული პოლიტიკური და ეკონომიკური სუვერენიტეტის მიღწევის გზაზე.

● როგორ მიადწიეთ ამ გადაწყვეტილებას?

— საქართველოს წყალმობილამურეთა ბოლოდროინდელ წარმატებათა წყალობით ჩვენ უკვე საკმაოდ კარგად გვიცნობენ მსოფლიოში. გაფართოვდა საერთაშორისო კონტაქტები. სხვადასხვა ქვეყნის სპორტმენებმა იასპარეზეს რესპუბლიკის წყალსათხილამურო ბაზებზე გამართულ შეჯიბრებებში, აქვე მოაწყვეს საწვრთნელი შეკრებები. გამომხატურებანიც ფორად კეთილმოსურნე ვახლდათ.

მაგრამ მაშინ, როცა საკავშირო სპორტსაკომში წყდებოდა საკითხი ევროპის ჩემპიონატის მასპინძელი ქალაქის შერჩევის შესახებ, მოულოდნელად დაასახელეს მოსკოვის, კერძოდ, კრილაცკოვის სპორტკომპლექსის კანდიდატურა, თუმცა წინასწარ დაპირა იყო მხოლოდ ფოთზე. მოგვიხდა ბრძოლაში ჩაბმა, საბასუხო კონტარაგუმენტების მოშვებით, მხარი დავვიჭირა საკავშირო ფედერაციამაც. გადაწყვეტილება აღმოჩნდა უცხოეთის ფედერაციითა წარმომადგენლების აზრით. მაგალითად, საფრანგეთის ფედერაციამ, რომლის პრეზიდენტი გი ლობრენსი თავისი გვეყნის წყალმობილამურეებთან ერთად ნამყოფია ჩვენს რესპუბლიკაში, მტკიცედ დაუჭირა მხარი ფოთის კანდიდატურას.

● დღეს უპრიანი იქნება გავიხსენოთ, როგორ დაიწყო წყალსათხილამურო სპორტი რესპუბლიკაში.

— საშუალოდ, სათანადოდ ვეღარ ვაფასებთ ხალხის დაინტერესებას, ენთუზიაზმის მნიშვნელობას. 60-იანი წლების დასაწყისში, ახალგაზრდების ერთი ჯგუფის გატაცებისა და მონაღმების წყალობით, რესპუბლიკაში დაიწყო სრულიად ახალი

საპარტველოს უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა და თანამშრომელთა რესპუბლიკური საბარტაკიადა

მასობრივობითა და დაკავშულობით გამორჩეული

საპარტველოს უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა და თანამშრომელთა რესპუბლიკური საბარტაკიადამ, რომელსაც სპორტსაზოგადოება „შეგარდენი“ ატარებს, დიდი პოპულარობა მოიპოვა. იგი წლეულს მესამედ ჩატარდა და მისი ფინალური შეხვედრები ახლახანს თბილისში, „ბურევესტნიკის“ სპორტულ კომპლექსში გაიმართა.

წლევიანდელი სპარტაკიადა, მისი წინამორბედებისაგან განსხვავებით, უფრო მასობრივი და უშეღავათო ბრძოლებით იყო აღსავსე. შეჯიბრების პირველ ეტაპში საქართველოს ყველა უმაღლესი სასწავლებლის 3000-ზე მეტი კაცი ჩაება. განსაკუთრებით საინტერესო და დაძაბული გამოდგა ფინალური შეჯიბრებები მინიფეხბურთისა და ფრენბურთში. კარგი მომზადება გამოავლინეს სამედიცინო ინსტიტუტის ფეხბურთელებმა, რომლებმაც ყველა შეხვედ-

რა აღმავლობით ჩაატარეს, გადამწყვეტ მატჩში სძლიეს გორის ეკონომიკური ინსტიტუტის გუნდს და დამსახურებულად დაიკავეს პირველი ადგილი. მესამეზე სამხატვრო აკადემიის გუნდი გავიდა.

ფრენბურთელთა ასპარეზობა წარმატებით დაიწყო თბილისის უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა, რომელთა შემადგენლობაში გამოდიოდნენ უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ნოდარ ამბროსიძე, პროფესორები: ავთანდილ სილაგაძე, თეიმურაზ ნიკოლაიშვილი, დოცენტი გიორგი ასლანიძე და სხვები, მაგრამ საბოლოოდ მესამე ადგილით დაკმაყოფილდნენ. ამ სახეობაში პირველი იყო ფიზკულტურის, მეორე — თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის გუნდი.

მოცურავეთა შეჯიბრებაში გუნდური პირველი ადგილი დაიკავა ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდმა. მეორე იყო ფიზკულტურის, ხოლო

მესამე — ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი.

ასპარეზობის ბოლო დღეს სარბიელი დაეძაბა მძლეოსნებს. უძლიერესის სახელი მოიპოვა ტექნიკური უნივერსიტეტის ნაქრებმა, მეორე და მესამე ადგილებზე შესაბამისად სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის პედაგოგიური და ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენების პედაგოგიური ინსტიტუტების მძლეოსნები გავიდნენ.

შარშანდელთან შედარებით გაცილებით უკეთ იასპარეზეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, უცხო ენების ინსტიტუტისა და სამხატვრო აკადემიის წარმომადგენლებმა. საგრძობლად დათმეს პოზიციები თბილისის უნივერსიტეტმა, სასოფლო-სამეურნეო და ზოოკვტირინარულმა ინსტიტუტებმა.

მ. ნინუა,
„შეგარდენის“ რესპუბლიკური საბჭოს უფროსი ინსტიტუტორი.



60-მეტრზე გარბენის მომენტი: მძლეოსან საპირიდელო პრიზიორები. მარცხნიდან: ლარისა შუმილიანი (II ადგილი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი), ჯულიეტა ჩუბინიძე (I ადგილი, ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტი) და თამარ კლდიაშვილი (III ადგილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი); სარბიელზე არიან ქუთაისისა და თელავის პედაგოგიური ინსტიტუტების ფეხბურთელები. ვიქტორ ბუიას ფოტოები.

წყლისკენ, თხილამურებზე!

(დასასრული)

ლი სპორტის სახეობის დანერგვა არქიტექტორი ვაჟა ძაგანია, მშენებლები გივი ყიასაშვილი, ოთარ გოციონიძე, ინჟინრები ოთარ ჩხეიძე, ვიზო ბაქანიძე, სპორტის ოსტატი ტანვაზიშვილი ვლადიმერ ასათიანი, მეცნიერ-მუშაკი ალექსანდრე სანაძე და სხვები მთელ თავისუფალ დროს თბილისის ზღვაზე ატარებდნენ. ნულიდან დაიწყეს. სად იყო მეთოდური სახელმძღვანელოები, სპეციალისტები, მწვრთნელები, სათანადო მოწყობილობა და ტექნიკა? მაგრამ იყო დაულოებელი ძინი ახალ საქმეში თავის გამოჩენისა, ახალ სიმბოლეთა დაძლიებისა. რაოდენ მნიშვნელოვანია ახლა ჩვენთვის მიზნისკენ სწრაფვის, ხასიათის სიმტკიცის ამგვარი სულსკვეთების აღორძინება! მახსოვს, რა დიდი სიხარული გამოიწვია პირველი კონკრეტული იური გაგარინის საჩუქარმა — ამერიკული წარმოების ძრავა „მერკურის“ რომელიც კატამარანს „მორაგეს“ საქართველოს წყალმობილამურეთა წვრთნის ხარისხი ამაღლდა და შედგებოდა არ დააკლავა — ვაჟა ძაგანია პირველი საკვეთით ჩემიონატის ვერცხლისმედალოსანი გახდა; ამ პლედის კიდევ ერთმა წარმომადგენელმა ალექსანდრე სანაძემ საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის წოდება მიიღო.

● აღმახელა დაღმავლა მოკვამ, წყალმობილამურებისადმი ინტერესი თანდათან ვაჩვენდა...

— სხვანაირად არც იქნებოდა. ენთუზიზმს, მორალურის გარდა, უპირველეს ყოვლისა, ორგანიზაციულ-ტექნიკური მხარდაჭერა სჭირდება, ეს კი, სამწუხაროდ, არ მონდა. სპორტის ახალმა სახეობამ, რომელსაც, წესით, ალმა უნდა ევლო, უკუსვლა იწყო. ენთუზიასტთა ბუნებრივი აღმადგინა ფიზიკური სრულყოფისაკენ მსწრაფველი აღამიანისკენ ზურგმუკეველ სპორტის ორგანიზაციის ბიუროკრატიულ სისტემაში ჩაეფლო.

● ბევრს მიაჩნია, რომ წყალმობილამურები ჩრდილოდა ხვედრია, ეს სახეობა თავისი არხით იმდენად ელიტარულია, რომ არ შეიძლება მას მოხრივი იყოს...

— ჩვენს სივბუქეში ჩოგბურთზეც ასე ამბობდნენ, მასაც საკმარად ავიწროვებდნენ, „ჩვენი“ სახეობა არ არისო, — ამტკიცებდნენ. ყველაფრის იდეოლოგიაცაიას, მათ შორის სპორტსაც, სასიკეთო არაფერი მოაქვს, ეს ხელს აძლევს ბიუროკრატებს, რომლებსაც ყველაზე ნაკლებად აღვლებთ აღამიანთა ჯანმრთელობა და სპორტული მოძრაობის რეალურ აღმავლობაზე ზრუნვა. დღეს ყველასათვის ნათელია: არ არსებობს სპორტის ცუდი სახეობა, ყველა მათგანი იმსახურებს იმდენ ყურადღებას, რამდენადაც შეესაბამება ხალხის ხასიათსა და ტრადიციებს. დაუშვებელია დაუფიქრებლად გავადარებოთ სპორტულ გატაცებათა ფერადოვანი პალიტრა.

● რით იზიდავს ახალგაზრდებს წყლის თხილამურები?

— საქმარისია, ერთხელ გასრიალდეთ წყლის ზედაპირზე, რომ სასიამოვნოდ „დაავადდეთ“ წყლის თხილამურებით. ეს სახეობა შეგძენთ ძალის, მოქნილობის, გულადობის შეგრძნებას, გამოგაწრთობთ ფიზიკურად. ფსიქოლოგიურ განტვირთვის აღარ იკითხავთ? დიდი სიჩქარე — 100 კილომეტრამდე საათში, წყალთან ურთიერთობა, წინალობათა დაძლიება — ყველაფერი ეს დადებითი ემოციების უშუალო წყაროა. ერთხელ მაინც რომ იხილოთ წყალმობილამურეთა შეჯიბრება, უმაღლესი შეგრძნობით, რაოდენ ვანუშებოვებელი, ემოციური, სახეიმი სანახაობაა წყალმობილამურთა სპორტი. გინახავთ წყლის ზედაპირზე შესრულებული მალაყი, წყალსათხილამურთა სლოლოში ან ტრამპლინიდან ხტომა? ეს არის სილამაზისა და გამბედაობის დემონსტრაცია.

● ალბათ, არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ მწვავედ დგას ეკოლოგიური პრობლემა?

— მართლაც, საწვრთნელი კატარა გაკვეთილწილად აქუქუქაინებს წყალსატევს. გამოსავალი აქ ერთია — უნდა აშენდეს საგანგებო საწვრთნელი არხები. ჩვენ ახლა ვცდილობთ სწორედ ამ გზას დავადგეთ. ლისის ტბაზე მოეწყობა წყალსათხილამურთა საბაგირო საწვრთნელი ბილიკი, რომელიც ელექტროდენით იმუშავებს. ეს ეკოლოგიურად უვნებელია. ერთი სიტყვით, ეკოპრობლემებზე რეალურად ვმუშაობთ.

● გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ წყალმობილამურებს სერიოზული მატერიალურ-ტექნიკური ზაზა სჭირდება...

— განა მშვიდდონსობას, რაგბის თუ ფეხბურთის იგივე არ სჭირდება? დღეს აღამიანის ჯანმრთელობას, ნებისმიერი სარეკორდო სპორტული მიღწევის დარად, სოლიდური მატერიალური და ორგანიზაციული ძალისხმევა უნდა. არ არსებობს სპორტის ისეთი სახეობა, რომლის განვითარება დღეს, რომ იტყვიან, ცარიელ ადგილზე შეიძლებოდეს. ჩვენს თვალწინ სასახელო ტრადიციების მქონე ბევრი სახეობა ჩამორჩა. ვანა ეს იმით არ ხდება, რომ მათზე ძველებურად აღარ ზრუნავენ, არ უქმნიან თანამედროვე მოთხოვნების შესაფერის მატერიალურ პრობლემებს?

წყალსათხილამურთა სპორტის საქმით თანხები სჭირდება. მით უმეტეს, რომ ყველაფერს, რაც აუცილებელია — ბაგირით დაწყებული და კატარით გათავებული — რესპუბლიკის და ქვეყნის მრეწველობა ან საერთოდ არ უმეებს ან ძალზე დაბალი ხარისხისას აწარმოებს, ასე რომ, უცხოურის იმედზე ვართ. სამაჰოთა კავშირის წყალსათხილამურთა სპორტის ფედერაციის თავმჯდომარის, აკადემიკოს ვიქტორ აფანასიევის დახმარებით შევიძინეთ ფირმა „მასტერ კრაფტის“ კატარა. ამისათვის აუცილებელი ვალუტა გამოჰყვა ფოთის საოკეანო თევზჭერის სამმართველომ, რომელსაც მაშინ ხელმძღვანელობდა წყალსათხილამურთა

სპორტის რესპუბლიკური ფედერაციის პრეზიდენტის წევრი გურამ დოლობაია.

სხვათა შორის, ჩვენმა ფედერაციამ ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო სპონსორების ინსტიტუტის პრაქტიკული გამოყენება. საქმიანი კონტაქტები დამყარებული გვაქვს რესპუბლიკის უდიდეს საწარმოთა კოლექტივებთან: თბილისის საავიაციო ქარხანასთან, ფოთის საოკეანო თევზჭერის სამმართველოსთან, ფოთის ჩაის კომპლანტთან, თბილისის ავტოსარემონტო საწარმოთა გაერთი-



ანებასთან და სხვებთან. მათი წილობრივი დახმარების წყალობით შეიქმნა საუტსოო წყალსათხილამურთა ბაზები ფოთსა და თბილისში. პერსპექტივაშია ზაზის გახსნა ბათუმშიც. ამ სახეობის გაერყელების არეალი აუცილებლად უნდა გაიზარდოს, ამის შესაძლებლობა რესპუბლიკას აქვს.

მრთებით კოლექტივების დახმარებით, მართლაც, ბევრს ვაკეთებთა შეიძლება. ორივე წლის წინ რუსთავეს, იქაურ ტბაზე, პირველად გამოჩნდნენ წყალმობილამურეები. ეს წყალსატევი სიერძით (850-1000 მ) და კლიმატური პირობებით შეესაბამებოდა წყალსათხილამურთა სტაბილური სტანდარტებს. მწვრთნელ-ენტუზიასტის ზაურ ლაზოიძის საქმიანობის მალე შედეგებიც მოჰყვა, მაგრამ კაშხალის დაზიანებამ ტბა „გააქრო“. ახლა წყალმობილამურეები იძულებული არიან ივარჯიშონ მტკვარზე, სადაც წვრთნისათვის სათანადო პირობები არ არის. თუმცა რუსთავეის მეტალოურგიული და ექსპერიმენტულ-მექანიკური ქარხნების, აგრეთვე სხვა დაწესებულებათა კოლექტივების დახმარებით რუსთაველები აპრილში კვლავ მიიღებენ წყალსათხილამურთა არსს.

● რუსთაველებს ამ საქმიანობაში „წინა კაცი“ ჰყავდათ — ფოთლებს ვგულისხმობ...

— ამ თვალსაზრისით ფოთი, მართლაც, სამაგალითია. ზაზა ჭაბიანი ადგილზე აშენდა — სამი ტბორი,

ირგვლივ კოლები. ფოთის პარტიული ორგანიზაცია დაეხმარა საწარმოებსა და ორგანიზაციებს ძალებითა და შესაძლებლობებით კონსოლიდაციაში, ზაზის მშენებლობაში მონაწილეობდნენ ქალაქის მშრომელები და ახალგაზრდობა. განსაკუთრებით აქტიურებს ფოთის ჩაის კომპლანტის კოლექტივი, რომლის ხელმძღვანელი რომან მელია არჩეულია რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილედ.

დღეს აქ აგებულია ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო წყალსათხილამურ-

რო კომპლექსი „აია“ — სამ კილომეტრამდე სიგრძის არხი ორი ტრასით, სხვათა შორის, მესამის მოწყობაც საეხებით შესაძლებელია, ტყეპარკი, მშვიდი წყლის ლაფარდი, მშვენიერი კლიმატური პირობები, ერთი სიტყვით, წვრთნისა და შეჯიბრებების ჩატარება პრაქტიკულად მთელი წლის განმავლობაში შეიძლება. კომპლექსს, სპორტულ-გამაჯანსაღებელი მიზნით, აქტიურად იყენებენ ქალაქის მცხოვრებნიც.

ევროპის ჩემპიონატისათვის მზადებასთან დაკავშირებით დაიგეგმა ზაზის საფუძვლიანი გაფართოება, სათანადო ინფრასტრუქტურის მოწყობა. ამ საკითხებზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო საგანგებო გადაწყვეტილებასაც მიიღებს. მწვობრში ჩადგება ტრიბუნა მაყურებლებისთვის, ახალი სასტუმროები, განახლება აეროპორტი, კეთილმოწყობა ქალაქის ქუჩები და მოედნები. ამ საქმეში, ალბათ, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ქალაქის ტერიტორიულ-დაგეგმვის ორგანიზაცია, რომელსაც საერთაშორისო ურთიერთობის, უცხოეთის ფირმებთან პარტნიორობის გამოცდილება აქვს. ეს გამოცდილება სრულად უნდა გამოვიყენოთ. ევროპის ჩემპიონატის მოსამზადებლად ჩასატარებელ საქმიანობას კოორდინაციას გაუწევს ორგკომიტეტი, რომელიც მალე შეუდგება მუშაობას.

● აქამდე ზაზებზე ვლაპარაკობ...

ბლით. მაგრამ ჩემპიონატზე ვიწვევთ. ჩვენი რესპუბლიკის წამომადგენელიც ჩასაჩვენებია. არადა, საქართველომ წყალმობილამურეთა კონკრეტულ მუშაობაში ფაქტობრივად ახლანდის დაიწყო...

— მაღალი შედეგების მიღწევა მცირე დროში შეიძლება, თუ, რა თქმა უნდა, საქმეს გულთანად და, რაც მთავარია, გონივრულად, პროფესიულად, პერსპექტივის გათვალისწინებით მოჰყვება ხელს. ორნახევარი წელია, რაც შეიქმნა ბავშვთა და მოზარდთა წყალსათხილამურთა რესპუბლიკური სკოლა, მაგრამ მისი კოლექტივმა, რომელსაც გია გოგოვი ხელმძღვანელობს, უკვე ებრის გაკეთება მოასწრო.

კარგად მუშაობს ამ სკოლის ფოთის განყოფილება. ამ დროის განმავლობაში აქ მომზადდა 3 სპორტის ოსტატი, 4 სპორტის ოსტატობის კანდიდატი, 3 პირველთაირი-გოსანი. ფოთელებმა ხათუნა კორკელიამ, გენადი პეტრუხინმა, ვასილ ბულდუროვმა ქვეყნის ნაკრებშიც მოიკიდეს ფეხი და პრესტიჟულ საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში მაღალ ადგილებსაც იკავებენ. გენსიმემათ, ხათუნა კორკელიამ ბრწყინვალედ იასპარეზა ევროპის ჩემპიონატზე, სადაც გაიმარჯვა ტრამპლინიდან ხტომაში, მრავალქილბო კი მეთებე ადგილი დაიკავა.

● რა ადგილი განეკუთვნება საერთაშორისო კონტაქტებს მოსამზადებელ პერიოდში?

— ვარჩიეთ, პირდაპირი, უშუალო ურთიერთობის გზას დავდგომოდით. სანდო უნდა გამოდგება ბულგარეთის ქალაქ პლოვდივის „სპორტკლუბ აკადემიკის“ და ჩვენი წყალსათხილამურთა რესპუბლიკური სკოლის წელმეკრულება, რომელიც ითვალისწინებს ინფორმაციისა და გამოცდილების გაცვლა-გაზიარებას, ტექნიკურ უზრუნველყოფაში დახმარებას, ერთობლივ წვრთნასა და შეჯიბრებას, საერთაშორისო შეჯიბრებების ჩატარებას. ასეთივე კონტაქტები მყარდება ჩეხოსლოვაკიის სპორტულ ორგანიზაციებთან. ვფიქრობთ, ახგვარი საქმიანობა უნდა გავაფართოოთ, უნდა ვიზრუნოთ თანამშრომლობის საერთაშორისო ორბიტაში დამოუკიდებლად ჩასაბმელად.

● ბოლო შეკითხვა — პირადად თქვენ თუ მისდევთ წყალსათხილამურთა სპორტს?

— აკი მოგახსენეთ, წყლის თხილამურებით სამუდამოდ „ავადდებიან“. ეს „სენი“ ოცი წლის წინ „შემეყარა“. მას შემდეგ თხილამურებით სამუდამოდ შემეყარა. შვილებშიც მომბაძეს. სიმწიფეები არ გვაშინებს, თუმცა რაღა წყალზე დაცემულხარ და რაღა ასფალტზე. ერთი სიტყვით, მივიხელოთ თუ არა თავისუფალ დროს, მაშინვე წყლისკენ, თხილამურებზე დავდგომოდ, ქართან და სისწრაფესთან შესაჯიბრებლად მივეშურები.

საუბარი ჩაიწერა ბ. ივანაძემ.

პრიზი ტურჩინებმა გადასცეს

ჩვენს რესპუბლიკის მოსწავლე ხელბურთელ გოგონათა ნაკრების ბოლოდროინდელმა წარმატებებმა მის ხელმძღვანელობას (უფროსი მწვრთნელი ა. ტაბიძე, მწვრთნელი გ. ვარამაშვილი) წლევანდელი საკავშირო სპორტაკადემიის უფროსი თამაში პროფესორების საფუძველი მისცა. წინა საკავშირო სპორტაკადა-

ზე დაკავებული XVI ადგილის შემდეგ მომავალ სპორტაკადაზე ფინალურ ექვსეულში მოხვედრა, დაგვეთანხმებით, არც ისე იოლი საქმეა.

იანვარში, კიევში, ცნობილ ხელბურთელ, სპორტის დამსახურებულ ოსტატ ზინაიდა ტურჩინას პრიზზე გამართულ მეორე საკავშირო ტუ-

რნირში ჩვენმა გოგონებმა დაამტკიცეს, რომ მზად არიან ბრძოლისათვის.

გუნდი დაკომპლექტებულია 15-16 წლის სპორტსმენებით. მათი უმრავლესობა თბილისის განათლების სამმართველოს ხელბურთის სპორტული სკოლის (დირექტორი ზაზა დოლობი) აღსაზრდელები არიან.

ტურჩინის (თითხმეტი გუნდი გამოდიოდა) ფინალში პირველობისთვის იბრძოდნენ საქართველოს ნაკრები და კიევის ორი გუნდი — „სპარტაკი“ და სპორტული სკოლა-ინტერნატი.

ჩვენი გოგონების სასახლეოდ უნდა ითქვას, რომ მათ წარმატებით გართვებს თავი ძნელ ამოცანას და დამსახურებულად დაიკავეს პირველი ადგილი.

გამარჯვებულ გუნდს საპატიო პრიზი თვით ზინაიდა და იგორ ტურჩინებმა გადასცეს.

უნდა აღინიშნოს, რომ მაღალი რანგის ტურჩინებში სატურჩინო გამოცდილების მისაღებად საქართველოდან გარდა ზემოხსენებული ნაკრებისა, მიწვეულნი იყვნენ ბათუმისა და წყალტუბოს გუნდებიც.

ბასუნი „ლელოს“ კმედიოვას „გაქვევებულნი“

ამ სათაურით „ლელოს“ ზარზანდელი 17 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება. მართლაც, 1987 წელს რაიონის სპორტსკოლის შენობა კომკავშირის რაიკომს ახალგაზრდული კლუბის მოხაზულობად გადაეცა იმ მოტივით, რომ პარალელურად მიმდინარეობდა კულტურულ-სპორტული კომპლექსის მშენებლობა და სპორტსკოლა იქ მოთავსდებოდა. კულტურულ-სპორტული კომპლექსის სახარჯთაღრიცხვო ღირებულებამ შეადგინა 400 ათას მანეთზე მეტი, საიდანაც რაიონის ადმინისტრაციის წილობრივად 90 ათასი მანეთი გაიღო. დანარჩენი თანხა პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკურმა საბჭომ დაფარა. ვინაიდან კულტურულ-სპორტული კომპლექსი სამეურნეო ანგარიშზე მუშაობს, ამიტომ კომპლექსის ხელმძღვანელობა სპორტსკოლის ხელმძღვანელობისაგან მოითხოვს დაუდოს ხელშეკრულება და გადაიხადოს საიჯარო გადასახადი,

რისი საშუალებაც სპორტსკოლას არ გააჩნია.

სადაც საკითხი დღემდე მოუგვარებელია. რაიონის ხელმძღვანელობას მიზანშეწონილად მიაჩნია, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკურმა საბჭომ კულტურულ-სპორტული კომპლექსის შენობა ზაზანსიდან ზაზანსზე რაიონის განათლების განყოფილებას სპორტსკოლისთვის გადასცეს. ამ საკითხზე სამწუხაროდ, ჭერჭერობით შეთანხმებას ვერ მივძღვიეთ.

პრობლემის საბოლოო გადაწყვეტისთვის მოწვეული გვყავს განათლების სამინისტროსა და რესპუბლიკური პროფსაბჭოს წარმომადგენლები.

საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ დამატებით გაცნობები.

ა. დანაღიძე, სახალხო დეპუტატთა ზაზურის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.



სურათზე: ტურჩინის გამარჯვებული საქართველოს ხელბურთელ გოგონათა გუნდი: შუაში — ზინაიდა და იგორ ტურჩინები.

ნანა გოგოლაშვილი.

დღეს, 7 თებერვალს, 18 საათზე თბილისის ჩაის სახლში დანიშნულია საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის წევრების შეხვედრა საქართველოს სპორტულ ფედერაციათა ხელმძღვანელებთან.

მრნი ლიბრთა შორის

გაღრმავების მოყვარულებს ალბათ ასოვთ, ამას წინათ რა წარმატება მოიპოვეს ქართველმა გოგონებმა კლინიკურად გამოკვლეულ საკვებში პირველობაზე — ნინო ხუციანთაძემ ჩემპიონობა მოიპოვა, ნათია ზანდიაძემ და ნატო ეშვილაძემ კი II-VI ადგილებს გაიყვეს. ხუციანთაძე კიდევ ერთი გამარჯვებული გამოდგინდა, ეშვილაძე კი III ადგილს დაიკავა. სამივე მოჭარბაქმ უფროსი ასაკის გამოკვლეულ მსოფლიო პირველობების შესარჩევ ტურნირში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

მსგავს ტურნირში მონაწილეობის უფლებისათვის იბრძვიან ახლა უმცროსები — 1976 წელს და უფროსები დაბადებულები. 12 და 14 წლის ასაკში დაბადებულთა მსოფლიო პირველობის შესარჩევ შეჯიბრებებში ამ ტურნირიდან 5-5 საუკეთესო უნდა გაიყვანოს. შეჯიბრება, რომელიც ამას წინათ ბელარუსის ქალაქ გომელში დაიწყო, შევიცარული სისტემით, 9 ტურად მიმდინარეობს. დღისთვის 4 ტურის შეხვედრებია გამართული. ქულათა მაქსიმუმით ლიდერობენ თბილისელი თამარ ფარულია და ნატალია გაბრუნაძე (ხერსონი). 3-3 ქულა მოაგროვეს თბილისელმა მია ლომინიძემ და სოხუმელმა რუსუდან გოლუთიანმა.

ჩონბატარში გაიშვება...

თბილისში დამთავრდა უმცროსი ასაკის მოსწავლეთა საქალაქო ფინალური ტურნირი ჰარდრაში. 15 გოგონად და 16 ბიჭად რვა-რვა საუკეთესო რესპუბლიკურ ნახევარფინალურ შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლებას იღებდა, რომელიც მისში ჩონბატარში ჩატარდება.

თბილისის ტურნირი საინტერესოდ წარიმართა. გოგონათა შორის საუკეთესო იყო ციალა რატიანი (მწვრთნელი — ა. წერეთელი) — 13 ქულა. 11 ქულით II ადგილს დაიკავა ლიქო ცალკელაშვილი (ვ. ურიდი), III-V ადგილები გაიყვეს სოფიო სოზიაშვილი, ეკა ჯავახიშვილი და თამარ სულაძე. ჯავახიშვილს მ. ლოლოშვილი ავარჯიშებს, სოზიაშვილსა და სულაძეს კი ა. წერეთელი.

ბიჭებს შორის 13,5-13,5 ქულა მოაგროვეს არტურ ჩიბუხიანი (დ. პაქსაშვილი) და ვიქტორ დუნდუაძე (გ. ხომერიკი). უკეთესი კოეფიციენტის გამო I ადგილი ჩიბუხიანს მიენიჭა, რომელმაც დაუმარცხებლად განვლო ტურნირი. 12 ქულა მოაგროვა ალექს ედიშერაშვილი (დ. პაქსაშვილი).

უცხოეთის უახლოესი ახალი ახგაბი

ბელორუსი: „მინდა რუმინეთის ნაკრავი ვითამაზო!“

რუმინულმა „გაზეტა სპორტული-რომა“ გამოაქვეყნა ინტერვიუ ბუქარესტის „სტილიუს“ ყოფილ ცენტრალურ მცველ მიორაგ ბელოდუნიანთან, რომელიც ერთი წლის წინ გაიქცა ამ ქვეყნიდან და ახლა ბელგრადის „ცრვენა ზვეზდაში“ გამოდის. როგორც გაზეთი იუწყება, ბელოდუნიანმა, რომელიც ეროვნებით სერბია, მიიღო იუგოსლავიის მოქალაქეობა, თუმცა რუმინეთის მოქალაქეობაც შეინარჩუნა.

— ძალიან მინდა რუმინეთის ნაკრავში ვითამაზო მომავალ მსოფლიო პირველობაზე. მსურს იტალიაში ბუქარესტის „სტილიუს“ ფეხბურთელების გვერდით დავდგე. მართალია, ისინი მაშინ დავტოვე, როცა უკიდურესად იყვნენ, მაგრამ თუ მიმიღებენ, ნაკრავს სიამოვნებით დავუბრუნებ.

ახლა გარკვეულად გარკვეული ვარ რუმინეთსა და იუგოსლავიის შორის, თუმცა ჩემი თავი, უპირველეს ყოვლისა, სერბად მიმჩნია. რუმინეთში ეკონომიკურად უკუდავროდ ვცხოვრობდი, მაგრამ მაინც ვაქტიუმი ჩაუშეს და მისი ოჯახის ტირანია. ჩემი არ იყოს, ბევრი სხვაც გადაიხვევა რუმინეთიდან, რა-

ბურნირის ეპოქა

„აღაა გალაგაა“

სიხარული და კმაყოფილება მომგვარა ცნობამის შესახებ, რომ თბილისის საერთაშორისო ტურნირის თავისუფალ ჰიდაობაში დაუბრუნდა საქვეყნო ცნობილი ქართველი ფა-ლავის, ქვეშაირტი პატრიოტისა და კარგი აღმზინის ვახტანგ ბალავაძის სახელი. ეს არის ქართული სა-ზოგადოებრიობის კიდევ ერთი ნა-ბიჯი უზენაესი მიზნების მიღწევისათვის ბრძოლის გზაზე.

სწორედ ვახტანგ ბალავაძის სახე-ლი, მისმა წვლილმა ჰიდაობის გან-ვითარებაში განაპირობა ამ მეტად სპასუნისმგებლო ტურნირის დაწე-სება და იგი დამსახურებულად ატარ-ებდა ბალავაძის სახელს.

ნურავის ეგონება, რომ რაიმე მა-კავშირდეს ჰიდაობის სამყაროს-თან და, ორმად მწიამ, არც ბატონ ვახტანგს სჭირდება ჩემი გამოქომა-გება. სიმართლისა და ქვეშაირტი-ბის აღდგენის ამ ფაქტთან დაკავ-შირებით მინდა ერთი შემთხვევის გა-სხვება, რის მიხედვით თავად ვი-ყავი ამ ტურნირის ჩატარების დროს.


საქმე ისაა, რომ 60-იანი წლების დასაწყისში, როცა თბილისის ტურ-ნირი ახალი დაწესებულებით იყო, მო-მიხდა ტურნირის მონაწილე ირანე-ლი მოქიდავეებისათვის რამდენიმე წელსადს თარჯიმნობა გაემწია. ამან საშუალება მომცა ზოგიერთ ამბავს უშუალოდ ახლოდან გავცნობოდი.

იმ დროს ეს ტურნირი დიდი პო-პულარობით სარგებლობდა და იგი მსოფლიოს უძლიერეს მოქიდავეებს იზიდავდა. სპეციალისტები ამ შე-ჯიბრებას მსოფლიოს პატარა ჩემპი-ონატსაც უწოდებდნენ. ირანელი და თურქი მოქიდავეების მონაწილეობა ამ ტურნირის მეტ მნიშვნელობას ანი-ჭებდა.

მსოფლიოს თავისუფალი სტილის უძლიერეს მოქიდავეთა ძალების ეს დემონსტრირება ვახტანგ ბალავაძის სახელით სუნთქავდა და მის ირგვლივ

ტრილებდა, მიუხედავად იმისა, რომ შეჯიბრებას მრავალი აღიარებული სპეციალისტი და წარსულში სახე-ლოვანი ფაღავანი ესწრებოდა.


ბატონი ვახტანგი დიდი ავტორი-ტეტით და სიყვარულით სარგებ-ლობდა. ირანელი და თურქი მოქი-დავეები ხომ მას პირდაპირ აღმე-რთებდნენ, სჯეროდათ მისი. იმ წლე-ბში არ ყოფილა შემთხვევა, რომ ირანელ სპორტსმენთა დელეგაციას ბა-ტონ ვახტანგისათვის ირანის შაჰის



პირადი მოკითხვა და სალამი არ გა-დაეცა. ვახტანგ ბალავაძის ვარშე-მო მხოლოდ სიტბოს, მოწიფებასა და დიდ დაფასებას ვხედავდი. ის კი რჩე-ბოდა, როგორც ყოველთვის, უბრა-ლო, აუღელვებელი და უშუალო, გა-ფაცულებით აღუგებდა თვალს ყვე-ლა შერკინებას და ცდილობდა მსა-ჯებდასა და სპორტსმენებში სიმშვი-დე და ურთიერთგაგება შეეტანა. მჯერა, რომ მისმა ასეთმა აღმზურ-რმა, საქმიანმა თვისებებმა ბევრად განაპირობა თბილისის ტურნირის ასე ფართოდ აღიარება და პოპულა-რობა.

და რომ ეს ასე იყო, ერთი შემთხ-ვევის გახსენებაც კმარა. ერთ-ერ-

თი ტურნირის დღეებში ერთმანეთს ხვდებოდნენ უკვე საკმაოდ ცნობი-ლი საბჭოთა მოქიდავე დმიტრიევი და ახალგაზრდა ირანელი მოქიდა-ვე (სამწუხაროდ მისი გვარი ჩემს მენსიერებას არ შემორჩა). ირანელ-მა დაჩაგრა მეტოქე და თითქოს გა-მარჯვებაც მას უნდა დარჩენოდა, მაგ-რამ მოსკოველებმა, რომლებიც ამ შეხვედრას სციდნენ და მეტავალყუ-რებდნენ, გამარჯვება საბჭოთა სპო-რტსმენს მიაკუთვნეს. ამაზე ირანე-



ლები ძალზე განაწყენდნენ და სი-მართლეს რომ ვერასვით მია-ღწევს, გადაწყვიტეს მიეტოვებინათ ტურნირი და უკან გამგზავრებუ-ლიყვნენ.

ირანელთა ამ ნაბიჯმა ტურნირის ხელშეწყობებში საკმაო შეშფოთე-ბა გამოიწვია და მას ალბათ, არც-თუ სასიამოვნო შედეგი უნდა მო-პოვოდა. ადვილი შესაძლებელი იყო ინციდენტის პოლიტიკური ელფერიც მისცემოდა. მაშინ მოსკოველებმა ვახტანგ ბალავაძეს მიმართეს დახ-მარებისათვის, რათა ირანელები უკან დაებრუნებინა. ბატონმა ვახტანგმა მომიხმო და ერთად მივიდით ირა-ნელებთან, რომლებიც მსაჯების გა-

ერთი ნახევარი

დაწყვეტილების უსამართლოდ გა-მოწვეულ აღშფოთებასა და გაბრა-ხებას ვერ ფარავდნენ. მათი გადა-წყვეტილება მტკიცე იყო და იმედი არ მქონდა თუ გადავთქმევინებდი. ბატონ ვახტანგსა და ირანელებს შორის გამართულმა საუბარმა კი-დეც ერთხელ დაამარჯვუნა იმაში, თუ რა დიდი ავტორიტეტით სარგე-ბლობდა ქართველი ფაღავანი, რო-გორ სჯეროდათ მისი სპეციალისტისა და მიუქრობებელი პოზიციისა. ხანმო-კლე, მეგობრული, მაგრამ ტემერა-მენებით აღსავსე საუბრის შემდეგ, ირანელებმა განაცხადეს, რომ ისინი მხოლოდ იმ პირობით არ მიატო-ვევენ ტურნირს, თუკი მოქიდავე-ბი ახლიდან შეეჭიდებიან ერთმე-ნეთს და მათ შეხვედრას უმსაჯებს მართლ „აღაა გალაგაა“ (ასე პა-ტრიცული მიმართავდნენ ირა-ნელები ვახტანგ ბალავაძეს), ჩვენმა მოქიდავემ კიდევ ერთხელაც რომ გაიმარჯვოს, მაგრამ „აღაა გალაგა-ნემ“ იგი დამარცხებულად ჩათვა-ლოს, მაინც მის გადაწყვეტილებაზე ყაბუღს ვიქნებითო.

აი, ასეთ მალაქ პატივს მიაგებდნენ ჰიდაობის ამ აღიარებულ რაინდს უცხოელებიც. რამდენად სასიხარუ-ლოა, რომ სიმართლემ თავისი გზა არ დაკარგა.

ვახტანგ ბალავაძის სახელით კვლავ გაშუქებულმა თბილისის საერ-თაშორისო ტურნირმა ძველებურად გამარჯვებულად უნდა იაროს ქარ-თული სპორტის სადიდებლად.

ბატონ ვახტანგს კი ვუსურვებდი დღეგრძელებას და, რომ არასოდეს დასკირებოდეს იმ სიტყვების გამე-ორება, რომლებიც მან ამ ათიოდე წლის წინათ ჩემი მისალმების პასუ-ხად მითხრა: ისე ვარ, როგორც გა-დავდებული ირანის შაჰიო. ღმერ-თმა ხუ ქნას!

ჰარიმ ანაოსი,
აღმოსავლეთმცოდნე.

ახალგაზრდული ჩემპიონატის ნილისკრა

- ბაიბარათა** ევროპის ახალგაზრდა ფეხბურთელთა (ასაკი 21 წლამდე) ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფების წილისყრა. ამ შეჯიბრების შედე-გები პარალელურად შევა ბარსელო-ნის (ესპანეთი) 1992 წლის ოლიმ-პიურ თამაშების საფეხბურთო ტურ-ნირის ჩათვლაში.
 - I ჯგუფი.** ესპანეთი, ჩეხოსლო-ვაკია, საფრანგეთი, ისლანდია, ალ-ბანეთი.
 - II ჯგუფი.** რუმინეთი, შოტლან-დია, ბულგარეთი, შვეიცარია.
 - III ჯგუფი.** ეტალია, სსრ კავ-შირი, უნგრეთი, ნორვეგია.
 - IV ჯგუფი.** იუგოსლავია, დანია, ავსტრია, სან-მარინო.
 - V ჯგუფი.** გერ, ბელგია, გერ, ლუქსემბურგი.
 - VI ჯგუფი.** პოლანდია, პორტუ-გალია, ფინეთი, მალტა.
 - VII ჯგუფი.** ინგლისი, ირლან-დია, პოლონეთი, თურქეთი.
 - VIII ჯგუფი.** შვეცია, ისრაელი, საბერძნეთი, კიპროსი.
- გათამაშების ფინალში გავლენ ჯგუფებში გამარჯვებულნი. შესარჩე-ვი მატჩები დაიწყება 1990 წლის სექტემბერში.

მინიფეხბურთი მისამ აღგილზე

დნარკოპატრონაში ადგილობ-რივ გულშემატკივართა კლუბის თა-ოსნობით გამართა საკვებო ტურ-ნირი მინიფეხბურთში ვახუთ „მო-ლოდ უკრაინის“ პრიზზე, 16 გუნ-დის მონაწილეობით. ჩვენი რესპუბ-ლიკის სახელს თბილისის „დინამოს“ გულშემატკივართა კლუბთან არ-სებული „საბურთალო“-I იცავდა. გა-მარჯვებული კოლექტივი პრემიის სახით 1500 მანეთს იღებდა, მეო-რე-მესამე ადგილებზე გასული კლუ-ბები შესაბამისად 900-600 მანეთს.

გუნდები ოთხ ჰეგჯელად იყვნენ დაყოფილნი: „საბურთალო“-I-ის ფე-ხბურთელებმა წარმატებით განვლეს ჯგუფური თამაშები, მათ დაამარცხეს კრემინჩუკის — 3:2, მინსკის — 2:0, მოსკოვის — 5:2 კლუბები. ნახე-ვარფიხალური შეხვედრა კი ადგი-ლობრივ გუნდთან ჰქონდათ. დაძა-ბული მატჩი მსპინძელთა გამარჯვე-ბით — 1:0 დამთავრდა. ამ წაგების შემდეგ ჩვენი გუნდი მისამ აღგი-ლისთვის კიველებს შეხვდა. საინ-ტერესო, დაძაბული ორთაბრძოლა ჩვენი გუნდის გამარჯვებით — 2:1 დამთავრდა, რომელიც საბოლოოდ მისამე საპრიზო ადგილს დასჯერდა. „მოლოდ უკრაინის“ პრიზი დემ-როპეტროვსკელმა ფეხბურთელებმა მოიპოვეს, რომლებმაც ფინალში დიდი ანგარიშით — 7:0 სძლიეს ნო-ვოსიბირსკელ სპორტსმენებს.

ყოფილ ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ ჩვენი გუნდის წევრი გაი-თმაძე მიიჩნია, ხოლო საუკეთესო მცველის პრიზი მის თანაგუნდელს თემურ ფინაიას გადასცა.

უცხოეთის უახლოესი ახალი ახგაბი

დგან იქაური რეჟიმის ატანა შეუძ-ლებელი იყო. რა თქმა უნდა, საქმე მხოლოდ ჩემს პირად ცხოვრებაში რო-ლია. აღმზინებს ყველაფრის უფლე-ბა ჩამოართვეს, მოთმინის „უფლე-ბის“ გარდა. საიდუმლო პოლიცია „სექურიტატე“ კი ყოველი საერთა-შორისო მატჩის შემდეგ ფეხბურ-თელებს ჰონორარის უდიდეს ნა-წილს ართმევდა.

„გაზეტა სპორტული-რომა“ და მასთან ერთად რუმინული სააგენ-ტო „აერპრესი“ გამოქვეყნებ რუმე-ნას, რომ ბელორუსიდან, რომელიც რუმინეთში ახლაც მეტად პოპულა-რულია, მსოფლიო ჩემპიონატის დროს ამ ქვეყნის ღირსებას დაიცავს.

სხაბ-ფეხბურთელებმა ამერიკა-ში ამხანაგურ შეხვედრათა სერია გა-მართეს. 6 მატჩიდან 4 მინიფეხბურ-თის წესებით მიმდინარეობდა. არ-მიელებმა ანგარიშით 5:4 დაამარცხ-ეს „დეტროიტის“, „პერშოან“ კი წააგეს — 1:7. გაიმარჯვეს „შტორ-მთან“ (9:6) და დამარცხდნენ „სენტ-ლოისთან“ — 3:5. ქალაქ ატლანტა-ში ბალახისსაფარიან სტანდარტულ მინდორზე ცსკა-მ მოუგო ცინცინა-ტისა და კლივლენდის კლუბების ნა-კრები — 3:1 და 4:1.

შინ დაბრუნების შემდეგ მოსკო-ვის არმიელები თავიანთ დახურულ კომპლექსში ჩაებნენ ახალ საერთა-



შრანაულ ჟურნალ „ფრანს ფუტბოლში“ გამოქვეყნდა ქვეყნის პირველობაში მოთამაშეთა საშუალო კოეფიციენტის მიხედვით შედგენილი სია. პირველ ადგილზე არიან გენე-ლი აიუ აბელი („ლილი“) და პო-ლანდელი ვან ჰერპენი („ბრესტი“), რომლებიც თამაშში საშუალოდ 4 ქულას იმსახურებენ. საინტერესოა, რომ ფრანგული ფეხბურთის „გარ-სკვალავენი“ პაენი და კანტონა ამ სი-აში 83-ე და 93-ე ადგილებზე იმ-ყოფებიან.

გრემენის „ვერდერს“ თავ-დასხმაში პრობლემები გაუჩნდა. ფე-ხბურთელთა ფუნქციონალური მო-მზადება სათანადო სიმძლავრე არ დგას, ამიტომ გუნდის ძირითადი და-ბრტყმელი ძალა ნახევარდაცვა გა-ხდა. მწვრთნელმა ოტო რეჰაგელმა „კაიზერსლაუტერნთან“ თამაშში ექ-სპერტიმენტს მიმართა — თითო ტა-ინი ათამაშა ფორვარდები ზაუერი და ახალბედა ბოდე. რისკმა გაამა-რთლა. 45 წუთი ორივემ ნაყოფიე-რად ჩაატარა და 2-2 გოლი გაიტანა.

პსტრინის „გრაჯერ აკა“ არა-სოდეს განეკუთვნებოდა გრანდების სიას, მაგრამ 70-იანი წლების ბოლოს რეგულარულად მონაწილეობდა ევრო-პულ ტურნირებში. შემდეგ დაიწყო მრავალწლიანი კრიზისი, რომელიც აქამდე გრძელდება. ახლა გუნდს ახალი მწვრთნელი ჰყავს, ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი 40 წლის ადი პინტერი, რომელიც გულშემატკიე-რებს სიტუაციის გამოსწორებას პი-რდება.

კოლუმბიის ფედერაციის პრეზიდენტმა ლეონ ლონდონო ტა-მამ განაცხადა, რომ მსოფლიო პირველობისათვის საშუალისისთვის გამოყოფილია 235 ათასი დოლარი. თებერვალში გუნდი მონაწილეობას მიიღებს მაიამში დაგეგმილ ოთხთა ტურნირში (ანშ, კოსტა-რიკა, ურუ-გვაი), 22 თებერვლიდან კი ლოს-ანჯელესის ანაროგოურ შეჯიბრება-ში (ანშ, სსრ, მესიკა). შემდეგ გუნდი ითამაშებს ეკვადორში და ისრაელში, ხოლო მისში ჩაებება ტურნირში მოწყობილ ასპარეზობაში.

მეხსინის ნაკრების უფროს მწვრთნელად დაინიშნა მანუელ ლა-პუნტეტი, რომელიც აქამდე „პუე-ბლას“ ავარჯიშებდა. დებიუტმა კე-რგად ჩაიარა. იანვრის ბოლოს ლოს-ანჯელესში მექსიკელებმა დაამარ-ცხეს მსოფლიო ჩემპიონი არგენ-ტინის ნაკრები — 2:0.

(სპ. იფს.)




„სახისი“ განაგრძობის კომისია

თითქმის ერთიანი შეხვედრის შემდეგ განახლდა მსოფლიოს გარემო იალქნიანი ნაგებობის რბოლა („უიტრედი“). მეოთხე ეტაპის სტარტზე ახალი ზეღანდის ქალაქი ოკლენდში თავიჩვენა და მთლიანად მოასპარევეს 30 ათასი გულშემატკივარი აცილებდა. შეჯიბრებას განაგრძობს 23 ნაგი, მათ შორის საბჭოთა „სახისი“.

სტარტზე ერთი საგანგებო შემთხვევა მოხდა. შევეციის იახტის „კარდს“ მოულოდნელად მოწყდა ანძა და გამცილებელ ნავს დაეცა. საბედნიეროდ ამ შემთხვევას მსხვერპლი არ მოჰყოლია და „კარდმა“ სახელდახელო რემონტის შემდეგ რბოლა განაგრძო.

მეოთხე ეტაპის ფინიში შედგება ურუბრების საბორტო ქალაქ პუნტა დელ ესტეში, რბოლის მონაწილეებმა უნდა დაფარონ 6255 მილი.



ხარკოვსა და ალმა-ათაში გრძელდება წყალბურთელთა 46-ე საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის პირველი ტური.

ხარკოვში. ასეთი წარუმატებელი სტარტი საკავშირო ჩემპიონატებში თბილისის „დინამოს“, თუ არ ვცდებით, არცა ჰქონია. ყოველ კალენდარულ დღეს ჩვენი წყალბურთელებსთვის მორიგი უსიამოვნება მოაქვს. მეოთხე შეხვედრა დინამო-ელტის ტურის მასპინძლებთან, ხარკოვის „ლოკომოტივთან“ ჰქონდა. ამ შეხვედრაშიც, ისევე როგორც წინა ორთაბრძოლებში, ერთ რამეში დაგვარწმუნა. „დინამო“ მეტ-

სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში

უსიამოვნო კანონზომიერება

ნაკლები წარმატებით ატარებს პირველ სამ პერიოდს, მეოთხეს კი პირველად აგებს და ეს განსაზღვრავს კიდევ საბოლოოდ შეხვედრის შედეგს.

განსაჯეთ თავად, ჩვენმა წყალბურთელებმა ჩემპიონატის სასტარტო მატჩი „მოსკვითან“ დათმეს 2 ბურთით (5:7), მეოთხე პერიოდი კი წააგეს ანგარიშით 1:4, მოსკოვის უნივერსიტეტთან დამარცხდნენ 4 ბურთით (8:12), ბოლო პერიოდი დათმეს — 0:3, ხარკოვის „ლოკომოტივთან“ ჩვენი პასივი იყო 4 ბურთით (8:12). მეოთხე პერიოდი კი აქაც წააგეთ — 2:6, უსიამოვნო კან-

ონზომიერებაა, რაც, პირველ ყოვლისა, ალბათ გუნდის სუსტ ფიზიკურ მომზადებაზე მივყავართ. არადა, რკინიგზელებთან შეხვედრის პირველმა პერიოდმა უძლიერესი ვერ გამოავლინა — 3:3, მეორე პერიოდის შემდეგ მასპინძლები ერთი ბურთით დაწინაურდნენ (2:1), მაგრამ მესამე პერიოდში „დინამომ“ ერთხელ კიდევ ალაღვიანა წინასწორი, როცა მოიგო იგი ანგარიშით 2:1. როგორც ხემათ ვთქვით, შეხვედრის ბედი მეოთხე პერიოდში გადაწყდა.

ხარკოვის ჯგუფის სხვა ორ შეხვედრაში ასეთი შედეგები დაფი-

ქსირდა: „ტორპედო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (ლევი) 6:5, უნივერსიტეტი (მოსკოვი) — „მოსკვინი“ 9:6, ალმა-ათა, მეოთხე ვალენდარსკოლი დღის შედეგები: „დინამო“ (მოსკოვი) — „ლოკომოტივი“ (კიევი) 9:8, ასკ (სევასტოპოლი) — ქუჩუ (ხარკოვი) 9:6, ცსკ ვიფ — „დინამო“ (ალმა-ათა) 8:7.


გათამაშების ცხრილები

ხარკოვის ჯგუფი

უნივ. (მოსკოვი)	4 3 1 5
„მოსკვინი“	4 2 0 6
„ლოკ.“ (ხარკოვი)	4 2 1 5
„ტორპ.“ (მოსკოვი)	4 2 0 4
„დინ.“ (ლევი)	4 0 2 2
„დინ.“ (თბილისი)	4 0 0 4 0

ალმა-ათის ჯგუფი

ცსკ ვიფ	4 4 0 0 8
„დინ.“ (მოსკოვი)	4 2 1 1 5
„დინ.“ (კიევი)	4 2 0 2 4
„დინ.“ (ალმა-ათა)	4 1 2 1 4
ასკ (სევასტოპოლი)	4 1 1 2 8
ქუჩუ (ხარკოვი)	4 0 0 4 0



სსრ კავშირის ჩემპიონატი კალატბურთში

წინააღმდეგობა პირველ ტაიპში

გამმართა უმაღლესი ლიგის კალატბურთულ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის ერთი მატჩი. მოსკოვის ცსკა ვილინის „სტატიბას“ მასპინძლობდა. შეხვედრის პირველ ნახევარში გათამაშების აუტისაიდრმა შეუბრუნა წინააღმდეგობა გაუწია ფავორიტს და ტაიმი მხოლოდ 3 ქულა (32:35) დათმო. შეხვედრის შემდეგ არმიელთა უპირატესობა აშკარა იყო, რომლებმაც მოიპოვეს კიდევ გამარჯვება — 95:70.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 7 თებერვლისთვის

„ბუდიველ.“ (კ.)	84 21 18 55
ცსკა	29 25 4 54
„დინამო“ (მოსკ.)	30 22 8 52
ვეფ (რიგა)	32 18 14 50
„კალევი“ (ტალ.)	27 15 12 42
„ჟალგირ.“ (კაუნ.)	29 18 16 42
„სპარტაკი“ (ლენ.)	30 12 18 42
არკი (მინსკი)	30 11 19 41
სბკ (ალმა-ათა)	28 15 8 38
„დინამო“ (თბ.)	27 11 16 38
„სტატიბა“ (ვილ.)	32 5 27 37
„შახტ.“ (დონ.)	28 8 20 36

ინფორმაცია

გათამაშების დასასრულს უახლოვდება საქართველოს მოჭადრაკი ვაჟთა ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი. 9 ტურის შემდეგ 7,5 ქულით შეჯიბრებას ლიდერობს ისააკ მანაშეროვი. 7-7 ქულა აქვთ ისიდორე გომეშვილს და შოთა კუჭუხიძეს, 6,5-6,5 — გიზო ჭურულაძის და ნიკოლოზ ლეკვიშვილს, 6-6 — ვასილ ვაშაქიძეს, თემურ მასხარაშვილს, კახა ხაბურზანიას და ზურაბ იგრაიშვილს.

შეჯიბრების დამთავრებამდე ორი ტურია დარჩენილი.

კალეიდოსკოპი

არაბული სამყაროს შქლიერესი

საორტსმენი

კავშირის ურუნალმა კრიტიკა აღარაბი ჩაატარა სპორტული ურუნალისტების გამოკითხვა „ვინ არის არაბული სამყაროს №1 სპორტსმენი“ შარშანდელ სეზონში? კონკურსში მონაწილეობა მიიღეს 17 არაბული ქვეყნის წარმომადგენლებმა. გამოკითხვის შემდეგ №1 სპორტსმენად აღიარებულია მაროკოელი მძლეოსანი საიდ აუტი. მეორეა ბრაფისონალი მოკრივე, მსოფლიო ჩემპიონი ქვეშსუბუქ წონაში კამალ აბუ (ტუნისი), მესამე — სომალელი მძლეოსანი აბდი ბილე.

ოლიმპიადების სამზადებელი

ათენში კარგა ხანია დაიწყო დიდი ოლიმპიური კამპანია, რომელიც მიზნად ისახავს 1996 წელს თამაშების ათენში გამართვას. როგორც საბერძნეთის კულტურის მინისტრმა სტორის კუველასმა განაცხადა, მისი ქვეყანა სულ მალე გადასცემს ოფიციალურ განაცხადს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს.

1996 წლის ოლიმპიადის მოწყობას ბერძენები უდიდეს ეროვნულ მნიშვნელობას ანიჭებენ. როგორც ცნობილია, ამ წელს აღინიშნება თანამედროვე ოლიმპიური თამაშების 100 წლისთავი, საბერძნეთს კი ამ თარიღთან, ისევე როგორც მთელს

ოლიმპიურ მოძრაობასთან, მოგვსენებათ, უახლოესი კავშირი აქვს. მინისტრის განცხადებით, ათენს აქვს მშვენიერი ოლიმპიური სტადიონი, რომლის მშენებლობა 1982 წელს დაიწყო. ასევე აქვს დიდი დახურული სტადიონი პირუსში. სხვა სპორტული ნაგებობების, მათ შორის ველოდრომისა და სიუტარო კომპლექსის მშენებლობა უკვე დაიწყო. საბერძნეთი, მინისტრის თქმით, სპორტული შეჯიბრებების პარალელურად აპირებს „კულტურული ოლიმპიადის“ ჩატარებასაც. მუსიკალური და თეატრალური სანახაობები გაიმართება ეპიდავროსის ანტიკური თეატრის სცენაზე, ლიტერატურული და ფილოსოფიური სემინარები — დელფოში, ხელოვნების ნაწარმოებთა გამოფენა კი ოლიმპიაში.

ზრანავები ეპატიშვიან რუმინელებს

ზრანავულმა სპორტულმა ორგანიზაციებმა წერილით მიმართეს რუმინელ სპორტსმენებს, ეწვიონ ცნობილ ქალაქ ალბერგის, რომელიც 1992 წელს ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს გაუწევს მასპინძლობას. ალბერგში შესანიშნავი სპორტული ბაზებია, რომლის გამოყენებასაც რუმინელ სპორტსმენებს უსაყიდლოდ სთავაზობენ.

ჩაცხრა თუ არა ეპიდემია?

ეპანეთმა, როგორც ჩანს, მოილია სახიფათო ეპიდემიური დაავადება, რომელსაც „აფრიკის ჰიპს“ უწოდებენ და რომლის მიზეზითაც შარშან საკმაოდ ბევრი ცხენი დაიღუპა. ასე რომ, ბარსელონის ოლიმპიადის ცხენოსანთა ტურნირი, რომლის გადატანაზეც დიდხანს იყო ლა-

„სპორტპროგრესი“ მე-5 ტირაშის შედეგები


(2-4 თებერვალი)

1—1, 2—1, 3—1, 4—1, 5—1, 6—1, 7—X, 8—X, 9—X, 10—1, 11—1, 12—X, 13—X.

შენიშვნა: პირველი ციფრი წველის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

გათამაშდა 1990 წლის იტალიის მსოფლიო ჩემპიონატის კიდევ ერთი საგზური. ბენდიერი ბილეთის ნომერია 42854860, სერია „CA“.

რედაქტორის მოადგილე უ. ზვიონაძე



7 და 8 თებერვალს თბილისის სპორტის სასახლეში ტარდება სა-

ბუთო კავშირის 57-ე ჩემპიონატის მატჩები კალატბურთში უმაღლესი ლიგის ვაჟთა გუნდებს შორის. ერთმანეთს ხვდებიან თბილისის „დინამო“ და რიგის ვეფ-ი.

დასაწყისი 17 საათზე.

ბილეთები იყიდება სპორტის სასახლის სალონებში.

კალეიდოსკოპი

პროფესიული კრივის ანგარიში

ტაისონი და ლეონარდი

კრივის საერთაშორისო ორგანიზაციამ „უორლდ ბოქსინგ კორპორეიშმა“ 80-იანი წლების (ათწლეულის) საუკეთესო მოკრივეებად გამოაცხადა მსოფლიო ჩემპიონი მძიმე წონაში მაიკ ტაისონი და მსოფლიო ჩემპიონი სუპერსაშუალო წონაში რეი შუგარ ლეონარდი.

საპატიო ჯილდოები გადაეცემათ აგრეთვე ლარი ჰოლმსს (აშშ), რობერტო დურანს (პანამა), მარკინ ჰაგლერს (აშშ), ხულო სესარ ჩივესს (მექსიკა), მაიკ სპინქსს (აშშ), სალვადორს (მექსიკა), თომას ჰარნისს (აშშ), აზუმა ნელსონს (განა), იონ კო ჩანგს (სამხრეთ კორეის რესპუბლიკა) და ჯეფ ფენიქსს (ავსტრალია).

საპატიო დიპლომები მიენიჭათ ალექსის არგუელოსს (ნიკარაგუა) და ვილფრედო გომესს (პუერტო-რიკო).

ყველაზე უფრო ეფექტურ ბრძოლად მიჩნეულია ტაისონისა და სპი-

ნქის შეხვედრა (1988 წ.), ყველაზე უფრო დრამატულად — ჰაგლერისა და ჰარნისის მატჩი (1985 წ.). აღინიშნა აგრეთვე ლეონარდ-დურანის (1980), ჰოლმს-ჰარნისის (1982), სანჩეს-გომესის (1981), ლეონარდ-ჰარნისის (1981) და ლეონარდ-ჰაგლერის (1987) შეხვედრები.

დურანს ჩამოკარტოვებს წოდება

საერთაშორისო ორგანიზაციამ „ინტერნეშნ ბოქსინგ კორპორეიშმა“ საშუალო წონაში მსოფლიო ჩემპიონის წოდება ჩამოართვა განთქმულ პანამელ მოკრივე რობერტო დურანს.

დურანმა, რომელიც სუპერსაშუალო წონაშიც გამოდის, ეს წოდება შარშან თებერვალში ამერიკულ ბერკლის დამარცხებით მოიპოვა, მაგრამ „ინტერნეშნ ბოქსინგ კორპორეიშის“ დებულებით ვალდებული იქნა იგი ათი თვის შემდეგ დაეცვა. დურანმა არ შეასრულა ეს პირობა, რისთვისაც დაისაჯა კიდევ.

თბილისის სპორტის შიკაქაპი

სასახლე
მინიფინანსურთის
ტურნირი
9-12 თებერვალი

ტურნირის ორგანიზატორები: სიჯანსაღისა და სპორტის საქმე-
ლმომკარგო რესპუბლიკურ ფონდთან არსებული გაერთიანება
„ორბი“ და საქართველოს სპორტსახომთან არსებული მინი-
ფინანსურთის კლუბი „მრბაში“

მონაწილეობენ: „გურია“ (ლანჩხუთი), „ქუთაისი“ (ქუთაისი), „დინამო“ (ბათუმი), „მრეტები“ (თბილისი) და ტურნირის საპატიო სტუმარი პოლონეთის ჩემპიონი „გ. კ. ს.“ კატოვიცი.

სპონსორები: ს/გ „ორიონი“, ს/გ „თეთრონი“, თბილისის №1 ტრიკოტაჟის ფაბრიკა, ს/გ „საქმარგარინრევი“, კოოპერატივი „ვარკეთილი-5“ სამშენებლო-საბარეკტო ღიზინერული ფორმა „ოლა“.

დასაწყისი: 9, 12 თებერვალს — 19 საათზე, 10, 11 თებერვალს — 17 საათზე.

ბილეთები იყიდება სპორტის სასახლის სალონებში 7 თებერვლიდან.

ჩვენს მისამართში:
წერილებისთვის — 880098,
თბილისი, ლენინის ქ. 14,
დებურებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდგენო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58,
„მერანი“ — 93-97-26, „მარტვი“ — 93-97-27.

ჩვენს
ინფორმაციის
66485

საქართველოს კმ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორ-
დენისანი სტამბა. 380098, თბილისი, ლენინის ქ. 14, აბეჭდება ოფსე-
ტური წესით სავაჭრო კორპუსში: ზოშარულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08709